



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის
ბრძანება

ქ. თბილისი



MES 8 21 0000171498



26/02/2021

„პროფესიული სტუდენტების სასწავლო განრიგის შესახებ“

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N 322 დადგენილების და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტისა და მინისტრის 2021 წლის 24 თებერვლის N 159323 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქ. თბილისში განხორციელებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელთა მოდულების სპეციფიკიდან გამომდინარე შეუძლებელია პრაქტიკული კომპონენტის დისტანციურ რეჟიმში განხორციელება, აღნიშნულ კომპონენტში სასწავლო პროცესი წარმართოს არადისტანციურ რეჟიმში 2021 წლის 1 მარტიდან.
2. 2021 წლის 1 მარტიდან 15 მარტამდე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სხვა კომპონენტები წარმართოს დისტანციურ რეჟიმში, ხოლო 2021 წლის 15 მარტიდან - არადისტანციურ/დისტანციურ რეჟიმში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების დაცვით.
3. არადისტანციურ რეჟიმში სასწავლო პროცესის წარმართვისას უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად დაევალოს ინფრასტრუქტურული მართვისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს (ნ. ნებიერიძე).

4. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგი დაევალოს შიდა აუდიტის სამსახურს (ა. შერაზადაშვილი) და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტს (დ. გორგიძე).
5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს (თ. წერეთელი).
6. ბრძანება, საჯარო გაცნობისათვის, განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
7. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N64).

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რექტორი დავით გურგენიძე

